

### საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგები შეაჯამა

გვ. 2

### რატომ გადააკოჩეს არჩევნებში გამარჯვებული თამარ ფაჩულია და რატომ რჩება ის საკრებულოს გარეთ?

გვ. 3



### დევნილთა საერთაშორისო დღე ახალ რაიონში

გვ. 5

fasi 50 TeTri # 11 1 - 7 ivlisi- 2014 weli gamodis samSabaTobiT

### რა დაჯდა მხატვარ გრიგოლ ღვანიას ევროტური და ვინ გაუშვა მივლინებაში მერიის პრესამსახურის ორი თანამშრომელი?

გვ.3

### ფოთში ნაგავსაყრელის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს

გვ. 4

### ფოთის თეატრის წარმატებები

გვ. 4

### საქართველოში მილიონი ადამიანი დღეში 5 ლარზე მეტს ვერ ხარჯავს

გვ. 5

აქ თქვენი რეკლამის და



მცირე განცხადებების ადგილია

# ფოთში არჩევნების მეორე ტური



**ელზა შონია**
**ფოთი**

2014 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნებმა ამომრჩევლის დაბალი აქტივობით და რიგი დარღვევების ფონზე ჩაიარა. აქტივობა წინა არჩევნებზე დაბალი იყო, მაგალითად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 58,42 %-მა, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კი დარეგისტრირებული ამომრჩევლის 42,47% მოვიდა. აქტიურობით არც ჩვენი ქალაქის ამომრჩეველს შეუწუხებია თავი. ფოთში წლევანდელ ადგილობრივ არჩევნებში ამომრჩეველთა 41%-იანი აქტივობა დაფიქსირდა. დარეგისტრირებული 40656 ამომრჩევლიდან 15 ივნისის 17 საათის მონაცემებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 14 362-მა ადამიანმა. მმართველმა კოალიციამ ძალ-ღონე არ დაზოგა, რათა ადგილობრივ თვითმმართველობებში მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობით მოსულიყო, მაგრამ საქართველოს 8 ქალაქსა და 13 მუნიციპალიტეტში არჩევნების მეორე ტური გახდა საჭირო, რაც,სავარაუდოდ,ერთ თვეში დაინიშნება. ფოთში მერობის კანდიდატთა მიერ მიღებული ხმები ასე გადანაწილდა: ვახტანგ დარცმელიძე- "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- 19,36%,2838 ხმა,დავით ქანთარია–"ბურჯანაძე- გაერთიანებული ოპოზიცია"- 14, 13%, 2072 ხმა, უშანგი გეგენავა– "დავით თარხან მოურავი –პატრიოტთა ალიანსი– 20, 85%-3057ხმა, ირაკლი კაკულია–"ქართული ოცნება"- 45, 66%, 6695 ხმა. არჩევნების მეორე ტურში ფოთის მერობისთვის "ქართული ოცნების" კანდიდატი ირაკლი კაკულია და "დავით თარხან-მოურავი - პატრიოტთა ალიანსის" მერობის კანდიდატი უშანგი გეგენავა იბრძოლებენ. არჩევნების მეორე ტურის მოლოდინი იყო, მაგრამ ოპოზიციური ძალები ფოთში "ქართულ ოცნებასა" და "პატრიოტთა ალიანსს" შორის გარიგებაზე საუბრობენ. ასევე მიანიშნებენ, რომ გარკვეული შიდა დაპირისპირებები არსებობს მმართველ კოალიციაშიც. საუბრობენ იმაზეც, რომ ფოთის მაჟორიტარი ეკა ბესელია აქტიურად იყო ჩართული არჩევნების დღეს პროცესის მიმდინარეობაში და გარკვეულ მითითებებსაც იძლეოდა. ფოთის №70-ე საოლქო -საარჩევნო კომისიის ინფორმაციით,"ნაციონალურმა მოძრაობამ", რამდენიმე უბნის გახსნა და ბიულეტენების ხელახლა გადათვლა მოითხოვა, მათ ჯერ საოლქო -საარჩევნო კომისიას მიმართეს წერილით და მოითხოვეს №5, №7, №3, №4,№8, №31 უბნების გახსნა. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლო-

გაგრძელება 4-გვ.

gamomcemeli da direqtori
inga gvasalia - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

redaqtori
elza Sonia - 598 622 807

სტილისტ-კორექტორი - maia CxeiZe - 591 145 709

დისტრიბუციის სამსახურის უფროსი
inga WiTanava
597 39 19 72

კორესპონდენტები:
Teona janaSia (senaki)
592 61 33 14
giorgi seskuria (zugdidi)
555 14 76 24
ana SongiraZe (Cxorowyu)
599 88 97 17

gamoqveynebuli masalis Sinaarsi SeiZleba ar emTxveodes redaqciis Tvalsazriss. statiis avtorebi Tavad ageben pasuxs informaciis sizusteze. redaqciaSi audio masalebi inaxeba ori kviris ganmavlobaSi, am vadis gasvlis Semdeg pretenziebi ar miiReba.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშ-



ნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეენბის მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -1,74 ლარი ღირს, ერთი ევრო - 2,3 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

# საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგები შეაჯამა

**ელზა შონია**
**ფოთი**



25 ივნისს ფოთის №70-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში შემაჯამებელი სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, კომისიის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" და მედია. შემაჯამებელი სხდომის შედეგები შემდეგნაირია, სულ ფოთში არჩევნებზე მოვიდა 17 540 ამომრჩეველი, საოლქო კომისიამ მიიღო 38 092 ბიულეტენი, აქედან ბათილად იქნა ცნობილი 923. ხმების საერთო რაოდენობამ ფოთის ოცდათორმეტივე საარჩევნო უბანზე შეადგინა 16 616. როგორც ცნობილი გახდა ბარიერი გადალახა ოთხმა პარტიამ: "ქართული ოცნება", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა","დავით თარხან მოურავი – პატრიოტთა ალიანსი,"ბურჯანაძე - გაერთიანებული ოპოზიცია". პარტიების მიხედვით ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა.:

№1"არასაპარლამენტო ოპოზიცია"- 436 ხმა,
№2 "ძალოვან ვეტერანთა პოლიტიკური მოძრაობა"- 2 ხმა,
№5 "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-3287 ხმა,
№8 "დავით თარხან-მოურავი- პატრიოტტა ალიანსი"- 2436 ხმა,
№9 "თვითმმართველობა ხალხს"- 27 ხმა,
№17 "ერთიანობის დარბაზი"- 18 ხმა,
№18 "სალომე ზურაბიშვილი-საქართველოს გზა"- 510 ხმა,
№20 "შალვა ნათელაშვილი-ლეიბორისტული პარტია"- 537 ხმა,
№41" ქართული ოცნება"- 6683 ხმა.

## ახალი საკრებულოს წევრების შემადგენლობა:

პროპორციული სიების მიხედვით საკრებულოს 5 მანდატი მოიპოვა "ქართულმა ოცნებამ",2 მანდატი ერგო "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", 1 წევრით იქნება წარმოდგენილი საკრებულოში "ბურჯანაძე- გაერთიანებულ ოპოზიცია ", 2 მანდატი ხვდა წილად "პატრიოტთა ალიანსს", 5 მანდატი გადანაწილდა ქალაქის უბნებში გასულ მაჟორიტარ კანდიდატებზე, შესაბამისად, უკვე ცნობილია ახალი საკრებულოს შემადგენლობაც:

1. zuri faCulia ("qarTuli ocneba")
2. Tamaz soselia ("qarTuli ocneba")
3. zuri CaCua ("qarTuli ocneba")
4. paata Caganava ("qarTuli ocneba")
5. levan CoCia (qarTuli ocneba")
6. severian Sengelia (bujanaZe- gaerTianebuli opozicia".)
7. irakli dundua ("erTiani nacionaluri moZraoba")
8. giorgi Samugia ("erTiani nacionaluri moZraoba")
9. samson kutalia ("qarTuli ocneba", maJoritari)
10. oTar xarCilava (damoukidebeli kandidati)
11. malxaz bukia ("patriotTa aliansi", maJoritari)
12. aleqsandre Tofuria ("qarTuli ocneba", maJoritari)
13. fridon kvaracxelia ( "patriotTa aliansi")
14. mixeil gudavaZe ("patriotTa alainsi")
15 akaki (gia) darjania ("qarTuli ocneba", maJoritari)

ფოთის 32 საარჩევნო უბნის მონაცემით „ქართული ოცნება" ლიდერობს. მუნიციპალიტეტების მიხედვით ხმები ასე გადანაწილდა:

კუნძული 1: №41- „ქართული ოცნება"- ალექსანდრე თოფურია- 35, 83%-958 ხმა.
№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-გიორგი შამუგია" - 25,09%, 671 ხმა.
№1 „არასაპარლამენტო ოპოზიცია" - ჭაბუკი ქოიავა – 12,94%, 346 ხმა
№3 „ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია – ლერი გიორგაძე – 6,77%, 181 ხმა.
კუნძული 2 – №41 "ქართული ოცნება" - აკაკი დარჯანია, 26,09%, 799 ხმა.
№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - დარეჯან ცხვიტარია 10,35%, 317 ხმა
ნაბადა: №41- „ქართული ოცნება" – სამსონ კუტალია, 23,8%, 788 ხმა
№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"- ირაკლი დუნდუა, 18,7%, 619 ხმა
№3 „ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია" - ზაზა წირღვავა, 16,88%, 559 ხმა
№8 „დავით-თარხან მოურავი-პატრიოტთა ალიანსი" - ზაზა ბერაია 12,65%, 419 ხმა
მალთაყვა: №8 „დავით თარხან მოურავი-პატრიოტთა ალიანსი"-მალხაზ ბუკია, 28,29%, 1000 ხმა.
№41 "ქართული ოცნება" - ევგენი (გია) გოგინავა 25,32%, 895 ხმა
№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - გიგა გვასალია, 14,65%, 518 ხმა
№3 "ბურჯანაძე–გაერთიანებული ოპოზიცია" - სევერიან შენგელია – 14,06%, 498 ხმა
ცენტრი: №41 "ქართული ოცნება"- მოგელი ტყებუჩავა 25,21%, 1040 ხმა
№8 "დავით თარხან-მოურავი პარიოტთა ალიანსი"- ფრიდონ კვარაცხელია 16,04%, 662 ხმა
№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - გიორგი აბაშია 11,15%, 460 ხმა

## დამოუკიდებელი კანდიდატები:

ცეზარ წულაია - 12,44%, 412 ხმა,
ოთარ ხარჩილავა - 29,28%, 1208 ხმა
თეა ბელქანია - 6,68%, 236 ხმა
რომან მელია - 10,81%, 239 ხმა,
დავით ბაბილუა - 19,76%, 605 ხმა
ლევან სახოკია - 22,04%, 675 ხმა
ჯემალ გერსამია - 1,31 40 ხმა
თამარ გვასალია - 5,55% - 229 ხმა
ლაშა ბერაია – 3,39%, 140 ხმა.

როგორც ფოთის №70-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სალომე როდონაია ამბობს არჩევნების შედეგების დაჯამება დასრულდა, ხელი მოეწერა შემაჯამებელ ოქმებს და ამჟამად ისინი უკვე ელოდებიან მითითებებს ცესკოდან, როგორც მან გვითხრა: " დღეს შევაჯამეთ საბოლოო შედეგები კომისიის წევრებთან ერთად, თქვენ მოისმინეთ ფოთის 32 უბნის მიხედვით დათვლილი ხმების რაოდენობა,როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული, გაირკვა საკრებულოში შემსვლელი პარტიებისა და მაჟორიტარი დეპუტატების ვინაობაც, ხელი მოეწერა შემაჯამებელ ოქმს და ჩვენ უკვე ველოდებით შემდგომ მითითებებს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მეორე ტურის ჩატარების ვადების შესახებ. "

თუ როდის ჩატარდება მერების არჩევნების მეორე ტური ჯერჯერობით ამის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას ცესკოდან ინფორმაცია არ მიუღია.



# რატომ გადააჩოჩეს არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი თამარ ფაჩულია და რატომ რჩება ის საკრებულოს გარეთ?

ელზა შონია
ფოთი

რამდენიმე დღეა გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ფოთში, პროპორციული სიით გასული "ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიციის" კანდიდატი თამარ ფაჩულია საკრებულოს გარეთ რჩება. ასევე გავრცელდა, რომ ფაჩულიას ადგილი საკრებულოში მმართველი გუნდის სხვა კანდიდატის სასარგებლოდ დაათმობინეს. რა მოხდა სინამდვილეში და ჰქონდა თუ არა რაიმე გარიგებებს ადგილი ყველა ამ საკითხზე თავად თამარ ფაჩულიასგან გაიგებთ:

–ქალბატონო თამარ, მოგესალმებით, დავიწყოთ თავიდან, რა შედეგი მიიღეთ არჩევნებზე და ადასტურებთ თუ არა გავრცელებულ ინფორმაციას თქვენს მიმართ გარკვეული მოლაპარაკებების შესახებ?

-იმ შედეგების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა საღამოს და მეორე დღეს,გასული ვიყავი,გამსვლელ პროპორციულ სიაში ვიყავი, მირეკავდნენ, მილოცავდნენ,მერე კი აღმოჩნდა,რომ ჩემი კანდიდატურა უნდა ყოფილიყო ამოღებული და ოცნების მეხუთე კანდიდატი უნდა ჩასმულიყო, სამწუხაროდ ასე მოხდა, გადაწიეს თამარ ფაჩულია და ჩასვეს ოცნებისთვის "სასახელო" კადრი ჩოჩია. ვესწრებოდი "ნაციონალური მოძრაობის" სასამართლოს, ისინი ითხოვდნენ უბნების გადათვლას, მაგრამ მოსამართლემ სარჩელი არ დააკმაყოფილა, ეს სასამართლოც ისევე დასრულდა როგორც ეს არჩევნები და ეს სამწუხარო ფაქტია.

–გამოდის რომ არჩევნები არაფერს ცვლის და მაინც ერთი ხელით იმართება ყველაფერი და ლაგდება,თქვენც ასე თვლით?

-დიახ, ეს ასეა, მაგრამ რა გამოუვა ვნახოთ, ჩვენ თავდაპირველად გქონდა ორი მანდატი და მერე მითხრეს რომ რაღაც მეასედები დაგაკლდა ხმაო, ასე განმიმარტეს და აღმოვჩნდი გარეთ. სამწუხაროდ ჩაწერილი არ მაქვს და ვერ დავადასტურებ ბევრ ფაქტს, როგორ მიდიოდა საუბრები ჩოჩიას გაყვანაზე, არანაირი პროტექციობით არასდროს არ მივსულვარ სამსახურში და არანაირი თანამდებობა არ მიღირს იმად რომ ასეთი წესებით მოვიდე სამსახურში და მივაღწიო რაღაცას. მე გამოვხატე ჩემი გულისტკივილი იმის თაობაზე, როგორ ვითარდება ამ ქალაქში მოვლენები, ადამიანებმა დაწერეს ჩემზე ფეისბუქში, რომ თუ ვინმე უნდა ყოფილიყო საკრებულოში, თქვენ უნდა ყოფილიყავით აუცილებლადო და მე სწორედ ეს დამოკიდებულება მიმაჩნია გამარჯვებად. იმათ იკითხონ, ვინც უღირსად, ყალბი ხმებით, სომხური კარუსელებით დაატრილეს გაყალბება და მოირგეს საკრებულოს მანდატი. რას იზამენ ისინი ხვალ, მართავენ ქალაქს? ვერ მართავენ.

-აპირებთ თუ არა მიმართოთ სასამართლოს?

- დიდი სიამოვნებით მივმართავდი სასამართლოს, მაგრამ ვის მივმართო? ამ სასამართლომ "ნაციონალური მოძრაობის" მოთხოვნა არ დააკამყოფილა ხმების გადათვლა და ჩემი ხმები რომ გადათვალონ იმას დააკმაყოფილებს? მაშინ როცა მე არანაირი იურიდიული დოკუმენტი არ მიჭირავს ხელში.

- ადგილი ჰქონდა თუ არა თქვენთან ვინმესგან რაიმე მოლაპარაკების მცდელობას, ან ზარი ხომ არ ყოფილა ისეთი, რომ გარიგების ხასიათი ჰქონოდა?



–მსგავსი რამ არ ყოფილა, იციან მათ რომ ჩემს მიმართ ასეთი ზარი ვერ განხორციელდება, რომ ჩემთან არანაირი გარიგება არ იქნება, იმიტომ რომ მე ჩემი შინაგანი კოდექსი არ მაძლევს ამის უფლებას.

–რა რეაქციაა თქვენი თანამებრძოელების მხრიდან იმასთან დაკავშირებით, რომ არ შედიხართ საკრებულოში?

–ჩემი თანაპარტიელების მხრიდან არის გულისწყვეტა, ჩვენ ვიკრიბებით, ვაანალიზებთ ამ ყველაფერს, რა მოხდა და როგორ მოხდა, გვერდით მიდგანან და მგულშემატკივრობენ, თუმცა როდესაც არ გიჭირავს იურიდიული დოკუმენტი რთულია. ჩვენ, როგორც იცით კომისიის წევრი არ გვყავდა ჩვენი გულშემატკივარი უბანზე, თითო წარმომადგენელი კი ვერაფერი ნუგეშია ასეთ დროს. ამდენად არ მაქვს არანაირი იურიდიული კაუჭი რომ მივყვე, თორემ რომ მქონდეს, დარწმუნებული იყავით, რომ მე არ ვარ ის ადამიანი, რომ რაღაცის გამო გავჩუმდე, არ ვაპირებ გაჩუმებას არაფრის ფასად, დუმილი ამ შემთხვევაში დანაშაულია. ცუდია, რომ არსებობს რაღაც მითქმა-მოთქმა ამასთან დაკავშირებით, ეს არის ლოგიკას მოკლებული, ესე იგი უნდა დავთმო ის რაც მეკუთვნის და ავიღო ის, რაც არ მეკუთვნის? ვისი დამადლებული სამსახური მჭირდება, თუკი აგერ მეკუთვნის ობიექტურად, ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება და აბსურდია.

–რას აპირებთ მომავალში,აგრძელებთ თუ არა პოლიტიკურ ბრძოლას?

– ვიქნები ძალიან აქტიურ პოზიციაში, როდესაც ამოქმედდება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფების, საზოგადოებრივი საბჭოების შექმნას, იყო ადრეც, სამუშაო საათების შემდგომ უსმენდა მოქალაქეებს, მაგრამ როცა უკვე კანონი ავალდებულებს, მეტი ძალა აქვს, ამ კუთხით

გაგრძელება 4-გვ

# რა დაჯდა მხატვარ გრიგოლ ღვანიას ევროტური და ვინ გაუშვა მივლინებაში მერიის პრესამსახურის --ორი თანამშრომელი?

ელზა შონია
ფოთი

სულ რამდენიმე დღის წინ დაასრულა თავისი ევროპული ტურნე ფოთელმა მხატვარმა გრიგოლ ღვანიამ. მან ევროპის რამდენიმე ქალაქში გამოფინა თავისი ნამუშევრები, მაგრამ დღეს ჩვენი საგაზეთო მასალის თემა კონკრეტული მხატვრის ნამუშევრების ღირებულებათა განსჯა არ გახლავთ. როგორც გავიგეთ ამ ტურნეში მერიის საინფორმაციო სამსახურის ორი თანამშრომელიც მონაწილეობდა და არა ოფიციალური მივლინებით. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, რამდენად არის მიზანშეწონილი და "აუცილებელი" ერთი მხატვრის ქვეყნის გარეთ გამართულ გამოფენაზე საინფორმაციო სამსახურის ორი თანამშრომლის გაგზავნა და დაიხარჯა თუ არა ამ მივლინებაში ბიუჯეტის ფული? ჩემთვის ცნობილი გახდა რომ მხატვარ ღვანიას ევროპული ტურნე ფოთის საგამოფენო დარბაზმა დააფინანსა 5000 ლარით. წლიურად თვითთმართველობის ბიუჯეტიდან საგამოფენო დარბაზი 60 ათასი ლარით ფინანსდება. ეჭვს ბადებს თავად ფაქტი, როგორ შეძლო საგამოფენო დარბაზმა ერთი მხატვრისთვის 5 ათასი ლარი გამოეყო, როცა მისი წლიური დაფინანსება მხოლოდ 60 ათასია. არავინ იფიქროს, რომ ვინმე ხელოვნების წინააღმდეგ გამოდის ან ფოთის სახელის შორს გატანა არ სიამოვნებს, მაგრამ ამ პროცესს თან უნდა ახლდეს მეტი პასუხისმგებლობა, რადგანაც საქმე ეხება საბიუჯეტო ანუ ხალხის თანხებს. ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროს სულხან თოლორდავას, როგორც ის ამბობს: "ოტია ჯაიანის სახელობის სამხატვრო სკოლას ცალკე დაფინანსება არ მიუღია, მხატვარ გიული ღვანიას გამოფენა, რომელიც გაიმართა ვილნიუსში მთლიანად დააფინანსა ფოთის საგამოფენო დარბაზმა. მათ უწერიათ დებულებაში რომ აქვთ გამოფენების ორგანიზების უფლება. მივლინების ხარჯების დოკუმენტაცია არ არის ჩვენთან, ამას ადგენს თავად სკოლა ან ის ორგანიზაცია, რომელიც არის ღონისძიების ორგანიზატორი. იმ შემთხვევაში თუ მოითხოვენ დამატებით დაფინანსების გამოყოფას, ასეთ დროს შეიძლება ბიუჯეტიდან გამოიყოს თანხა მასში არსებული ასიგნებების ფარგლებში. მე როგორც ვიცი ზედმეტი დანახარჯი არ ყოფილა და ეს გამოფენა დაჯდა 5000 ლარამდე. "

ჩვენ ამ საკითხში უკეთ გასარკვევად კომენტარი ვთხოვეთ ფოთის საგამოფენო დარბაზის დირექტორს გოგი გაგუას, როგორც ის ამბობს, ბალტიისპირელების მოთხოვნა იყო მერიის წარმომადგენლებსაც მიეღოთ მონაწილეობა ამ გამოფენაში: " ეს გამოფენა დაიგეგმა ადრე ჩატარებული გამოფენის "მეგობრობის პალიტრის " შემდეგ,როდესაც ფოთში ჩამოსული იყო 5 ბალტიისპირელი მხატვარი, მივიღეთ წერილი, რომელშიც ითხოვდნენ აქედანაც ჩასულიყო



ფოთელი მხატვარი და მიეღო მონაწილეობა გამოფენაში, ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ ეს წერილი უპასუხოდ არ დაგვეტოვებინა,წერილში იყო მოთხოვნა რომ ყოფილიყო მერიის ორი წარმომადგენელიც, რაც შეეხება დაფინანსებას, იქიდან გამომდინარე, რომ ეს გამოფენა არ იჯდა გეგმიურში ჩვენ ვთხოვეთ საკრებულოს განეხილა ეს საკითხი, ძირითადი დაფინანსება საგამოფენო დარბაზს აქვს 49 ათასი ლარი, როცა ასეთი მასშტაბის ღონისძიებაა ჩასატარებელი საჭიროა დამატებით ფინანსები, ადგილობრივ ღონისძიბებს კი ჩვენ თვითონ ვატარებთ ზედმეტი ხარჯების გარეშე. ვთვლით, რომ ასეთი გამოფენების მოწყობა საზღვრებს გარეთ აუცილებელია ჩვენი ქალაქის სახელის შორს გატანისათვის, ჩვენი კულტურის პოპულარიზაციისთვის"

ამ თემას ერთი ქეისით დავასრულებ და მკითხველმა თავად განსაჯოს: რამდენიმე დღის წინ ფოთის მერიას დახმარების თხოვნით მიმართა ფოთელი 8 თვის ბარბარე ქაქუთიას მამიდამ. დაახლოებით ორი თვის წინ ექიმებმა ბარბარეს ანემიის უიშვიათესი ფორმა აღმოუჩინეს. ამ დიაგნოზით საქართველოში ბარბარე ერთადერთია, მის საზღვარგარეთ მკურნალობას კი

გაგრძელება 4-გვ

# ფოთში არჩევნების მეორე ტური

**დასაწყისი პირველი გვერდიდან**

ბის შემდეგ კი "ნაციონალურმა მოძრაობამ" სარჩელით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს, სადაც უკვე მოითხოვა დამატებით №12, 13, 14 და 29-ე უბნების შედეგების გადათვლა. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო №13 უბანზე. მიმდინარე წლის 23 ივნისს ფოთის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა "ნაციონალური მოძრაობის" მიერ შეტანილი სარჩელი.

ფოთის საოლქო - საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი თვითმმართველბის არჩევნების მიმდინარეობას დადებითად აფასებენ. როგორც კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მარიკა გაწერელიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: " არჩევნებმა საკმაოდ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. სერიოზულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით მცირეოდენ ინციდენტებს, რაც საერთოდ ახლავს თან ამ პროცესებს. არჩევნების ნორმალურ ვითარებაში ჩატარებას მოწმობს ისიც, რომ მხოლოდ ერთი საჩივარი დაიწერა "სამართლიანი არჩევნების" მიერ, რაც განიხილა კომისიამ.

თვითმმართველობების არჩევნების შემდეგ ჩვენ მივმართეთ მერობის კანდიდატს "ნაციონალური მოძრაობიდან", წინა მოწვევის საკრებულოს წევრს ვახტანგ დარცმელიძეს, რომელიც მმართველ პილიტიკურ ძალას სხვადასხვა გარიგებებში ადანაშაულებს: "არჩევნების წინა პერიოდში მიდიოდა ბინძური კამპანია, როგორც ჩვენს მიმართ, ისე პარტიის შიგნით ადგილი ჰქონდა ბინძურ გარიგებებს, გადაგდებებს, რაც აისახა კიდეც შედეგებზე. ყოველდღე ცვლიან შედეგებს რატომღაც. დათვლის პერიოდში ჩანდა, რომ წინ ვიყავი, ოთხი უბანი დატოვეს ღია და საღამოსკენ როცა გადახედეს, რამდენი სჭირდებოდათ, დაამატეს და გადაფარეს იმ უბნების შედეგით. აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ ამ უბნების გადათვლას. ცდილობდნენ ზომიერად გაებათილებინათ შედეგები და გადაენაწილებინათ, მაგალითად №18 უბანზე, ნაბადაში ასამდე ბიულეტენი გააბათილეს "ქართული ოცნების", რის შედეგადაც "ბურჯანაძე გაერთიანებულმა ოპოზიციამ" აიღო პირველი ადგილი. აქამდეც ვხედავდით და არჩევნებზე უკვე აშკარად გამოჩნდა, "პატრიოტთა ალიანსი" არის მმართველი გუნდის სატელიტი პარტია და "ბურჯანაძე- გაერთიანებულ ოპოზიციასთან" ერთად სამივე ძალა კოხტად თანამშრომლობდნენ. "ალიანსის" ბევრმა კანდიდატმა, რომელთა გვარებს არ დავასახელებ, ფოთში სწორედ იმიტომ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, რომ ჰქონდათ მმართველი ძალისგან მხარდაჭერა, სხვა შემთხვევაში ისინი არ დააყენებდნენ საკუთარ კანდიდატურებს. ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ მარაოს სისტემის გაყალბებას ჰქონდა ადგილი. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას და გასაქანს არ მივცემთ ახალ საკრებულოს და მერს, რათა აკეთონ საქმე, არ გაღვივდეს კორუფცია, რომელიც უკვე დაწყებულია ჩვენს ქალაქში. ცუდ საქმეებში ნამდვილად არ დავუჭერთ მხარს".




დარცმელიძეს მეორე ტურის შესახებაც აქვს თავისი მოსაზრება: "იმ პირობებში, როდესაც ჩემს ოპონენტს დაუმატეს იმდენი, რაც სჭირდებოდა და რაც მოხდა მოგელი ტყებუჩავას და გია გოგინავას შემთხვევაში, რა პრობლემა იყო ოთხასი ხმა დაემატებინათ კაკულიასთვის, თუ ყველას დაუმატეს და გადაუმატეს, ამით ბესელიამ კაკულიას აჩვენა, რომ არ არის მთლად კარგად მასთან, აჩვენა ის, რომ მთლად უპირობო ლიდერი არ არის კაკულია და მომავალშიც ეს სჭირდება თავისი ბინძური საქმეებისთვის. თუ გავა კაკულია მერად, მერე მას გადააააბრალებს რაღაცეებს, როგორც ეს სარსანიას შემთხვევაში ხდებოდა. თითქოსდა ის მისი გუნდის წევრი და მისი პროტეჟე არ ყოფილიყო. რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო პირველივე ტურში დასრულებულიყო ყველაფერი, თუმცა სუფთა ბრძოლის შემთხვევაში მეორე ტურიც იყო შესაძლებელი. ყველა შემთხვევაში, ლეგიტიმაცია სასაცილოა, არჩევნებზე არ მოვიდა 60%, ხოლო დარჩენილი 30%-იდანაც რომ ვერ იღებ უმრავლესობას, ეს არის ძალიან ცუდი მმართველი გუნდისთვის, თორემ ჩვენ ოპოზიციაში ვართ და ვიბრძვით".

სხვა ოპოზიციური თუ ფსევდო ოპოზიციური ძალებისაგან განსხვავებით, "ნაცმოძრაობის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციაში თავის ამომრჩევლებს არ მოუწოდებენ თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში ხმა რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ მისცენ. როგორც გვითხრეს, რამდენიმე დღეში ნაციონალები გააკეთებენ განცხადებას სამომავლო გეგმების შესახებ, მანამდე კი არც მეორე ტურის სამართლიანად ჩატარების იმედი აქვთ და თვლიან, რომ ამჯერადაც იმ შედეგს დადებენ მმართველ გუნდში, ვისი მერობაც უფრო აწყობთ.

# ფოთში ნაგავსაყრელის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს

**ელზა შონია**
**ფოთი**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თემურ მურღულია, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი, გიორგი შუხოშვილი, ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებელი ვასილ თოდუა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ნარჩენების მართვის ექსპერტები, ფოთში არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელის პირველადი საექსპლუატაციო სამუშაოების დასაათვალიერებლად შეიკრიბნენ.

ნაგავსაყრელის კეთილმოსაწყობად, ქალაქ ფოთში მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, რის შემდეგადაც, პოლიგონის კეთილმოწყობასა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდება. ტენდერით გათვალისწინებულია: ნაგავსაყრელის ტერიტორიის ზედაპირის პროფილის ფორმირება, მისი თიხნარი საიზოლაციო ფენით გადაფარვა, შიდა გზების მოწყობა, თიხნარიგრუნტის მარაგის კავალიერების სახით დასაწყობება, ნაგავსაყრელზე საკონტროლო-გამშვები ჯიხურის განთავსება, სანიაღვრე წყალარინების სისტემების, სანიტარული საკვანძისა და უსაფრთხოების ფარის მოწყობა, ტერიტორიის შემოღობვა, ამკრძალავი მაჩვენებლების დამონტაჟება.

აღსანიშნავია, რომ ნაგავსაყრელის ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მდინარე რიონი, რომელიც ჭარბი ატმოსფერული ნალექებისას სწრაფად დიდდება და პოლიგონის ტერიტორიის ნაწილის დატბორვის საფრთხეს ქმნის. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ნაპირზე სპეციალური დამცავი ფერდი მოეწყობა. ჩამოთვლილი სამუშაოების განხორციელების შედეგად, შესაძლებელი გახდება ნაგავსაყრელის ეფექტური ექსპლუატაცია.

ფოთის ნაგავსაყრელი ექსპლუატაციაში 1966 წელს შევიდა, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას კი მართველობაში ამა წლის 21 ივნისს გადაეცემა.

# რატომ გადააჩოჩეს არჩევნებში გამარჯვებული თამარ ფაჩულია და რატომ რჩება ის საკრებულოს გარეთ?

**დასაწყისი 3-გვ**

ვაპირებ გააქტიურებას და ვნახოთ, რომ გაიმართება სხდომები, რა საკითხებს განიხილავენ, ხალხზე ზრუნვის ეგიდით რომ არიან მოსულები, სინამდვილეში რომ ბიოგრაფია არა აქვთ, სამარცხვინოა, რომ ეკა ბესელიამ შეარჩია და ჩაწერა სიაში ისეთი ადამაინები, რომლის უფლებაც არ ჰქონდა მას. რატომ არის განხეთქილება დეპუტატსა და "ქართულ ოცნებას" შორის. ამის მიზეზია არა შიდა დაპირისპირება "ოცნებაში", არამედ დაპირისპირებაა ამ სიის გამო. მიუხედავად ჩემი პატივისცემისა დეპუტატის მიმართ, არ მაძლევს უფლებას ჩემი შინაგანი ხმა არ გამოვხატო ჩემი გულისწყრომა , თორემ პიროვნულად მის მიმართ არც არაფერი სხვა ინტერესი გამაჩნია, რომ ისე ვილაპარაკო, რაც არ არის მიზანშეწონილი.

—თქვენ ამბობთ რომ თავიდანვე პროპორციული სია დაკომპლექტდა არასწორად არასამართლიანად და ერთპიროვნულად?

—რა თქმა უნდა, სწორედ ეკა ბესელიას დიდი მინუსია ის რომ სიაში ჩაწერა უბიოგრაფიო ადამიანები, პირველ ნომერზე არ ვამბობ, თუმცა უკვე არის ერთი გაწევ-გამოწევა რომ ის კი არ უნდა იყოს საკრებულოს თავმჯდომარე, არამედ მეხუთე ნომრად ძლივს შესული ჩოჩია, რომლის მერობა უნდოდა ამ ქალბატონს. ეს ხომ რეალობაა და არა ჭორი, სინამდვილეა.

— და ბოლოს, ქალბატონო თამარ, ამ ყველაფრის ფონზე, როგორ შეაფასებდით თვითმმართველობის არჩევნებს?

— ამ არჩევნებზე არ ყოფილა ხალხის ნება გამოხატული. გაეფორმებინათ ეს პირდაპირ, არ სჭირდებოდა ამას ნამდვილად ამდენი აურზაური, ისე დაეწერათ და გაეყვანათ ვინც მათ უნდოდათ, ხალხის ნება ნამდვილად არ იყო ისეთი ადამიანები შესულიყვნენ საკრებულოში, ვინც დღეს შედის, რა თქმა უნდა ყველას არ ვგულისხმობ.

# რა დაჯდა მხატვარ ღვანიას ევროტური და ვინ გაუშვა მივლინებაში მერიის პრესამსახურის ორი თანამშრომელი?

**დასაწყისი 3-გვ**

უზარმაზარი თანხა სჭირდება, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყეს ბავშვის გადასარჩენად თანხების მოძიება, მიმართეს ჯანდაცვის სამინისტროს, ბიზნესმენებს და ადგილობრივ თვითმმართველობას. მერიაში დახმარების მთხოვნელებს განუმარტავენ, რომ მხოლოდ განცხადებით დაფინანსებას ვერ მიიღებენ, ამისათვის საჭიროა იმ კლინიკიდან მიღებული ხარჯთაღრიცხვის კალკულაცია, ექიმის მომართვა, დიაგნოზი და თანაც ეს დოკუმენტაცია ყველა ორიგინალი უნდა იყოს ცოცხალი ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული და არა ასლი. ჯერჯერობით იაშვილის სახელობის კლინიკის ექიმებს არა აქვთ დადგენილი თუ რომელ ევროპულ კლინიკაში უნდა ჩაუტარდეს ბავშვს ძვლის ტვინის გადანერგვის ოპერაცია. გაგზავნილია ანალიზები საზღვარგარეთის კლინიკებში, მაგრამ სანამ რამე კონკრეტული გაირკვევა ბავშვს ადგილზე უტარდება თითქმის ყოველდღე სხვადასხვა პროცედურები. ამისათვის კი თანხებია საჭირო. როგორც გავარკვიეთ ასეთ შემთხვევაში ფოთის მერიას დახმარება არ შეუძლია, რადგან თანხების ჩარიცხვა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით კონკრეტული კლინიკის ანგარიშზე. მაქსიმალური თანხა, რითაც მერია დაეხმარება პატარას 2000 ლარია (?). შეფასებები და კომენტარები მკითხველმა თავად გააკეთოს, ჩვენ თავს შევიკავებთ.

# დევნილთა საერთაშორისო დღე ახალ რაიონში

ელზა შონია
ფოთი



20 ივნისს დევნილთა საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით ფოთში დევნილთა ახალ დასახლებაში ღონისძიება გაიმართა, რომლის ორგანიზატორი გახლდათ ასოციაცია “ათინათი” და გაეროს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის ფოთისა და ზუგდიდის ოფისი. კონცერტი-შეჯიბრი ღია ცის ქვეშ მოეწყო, კომბინირებულად ჩატარდა ასფალტზე ხატვა და მხიარული სტარტები სპორტულ მოედანზე, ადგილობრივმა ბავშვთა ანსამბლებმა შეასრულეს სიმღერები და ცეკვები. დევნილებს სიტყვით მიმართა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა ზუგდიდსა და გალში ჯონ მაკისმა. როგორც მან თქვა: მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა “ათინათს”, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, სახალხო დამცველის წარმომადგენლობას, მადლობა დევნილებს, ვინც დღეს აქ გვესწრება, დღევანდელ დღეს ჩვენ ხმას ვაწვდენთ იმ ხალხს, ვინც იძულებულია დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი ადგილები, 250 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა საკუთრება 20 წლის წინ, ამ ხნის მანძილზე ეს ადამიანები გვაჩვენებენ, თუ როგორ გადარჩნენ, ცდილობენ ცხოვრება დაიწყონ თავიდან. სახელმწიფოს დიდი მადლობა, რომ მისცა მათ საცხოვრებელი ფართები, თუმცა ეს არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი, ჯერ კიდევ არიან დევნილები, რომლებიც ცდილობენ მიიღონ საცხოვრებელი , ჯერაც რჩებიან დანგრეულ შენობებში. “იუენ ეიჩ ი არი” იმიტომ არის აქ რომ დაგეხმაროთ და მსოფლიოს მივაწვდინოთ თქვენი ხმა. დევნილებს მიმართა ასევე ასოციაცია “ათინათის” გამგეობის თავმჯდომარემ გია ხასიამ: “გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ეს შეხვედრა ჩატარებულიყო ფოთში ჩემთვის იყო ძალიან სასიამოვნო, პირველი აქ რაც დავინახე, არის სლოგანი “აფხაზეთი ჩემი მზეა”, ეს არის გამოხატულება იმისა, რომ ჩვენი მომავალი არის იქ და ეს მზე აუცილებლად გაანათებს ჩვენს მომავალ თაობას.”

“გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის” წარმომადგენელმა ნინო ქაჯაიამ ისაუბრა დევნილთა პრობლემებზე: “ ქვეყნაში 280 ათასზე მეტი დევნილი ცხოვრობს, ჩვენ ვისმენთ და ვიწერთ მათ ისტორიებს, მათი ბედი ხშირად ტრაგიკულია, ჩვენ უკვე გამოვეცით მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე ეს ისტორიები და გავავრცელეთ, თქვენ ალბათ იტყვით, მერე ჩვენ ამით რაო, ამით ჩვენ ვცდილობთ მივაწვდინოთ ხმა საერთაშორისო ორგანიზაციებს, დონორებს, რომ თქვენი ცხოვრება ცოტათი მაინც შევცვალოთ უკეთესობისკენ, რომ ყველა დევნილმა იცხოვროს ღირსეულად, უკეთეს პირობებში.”

კონცერტზე სიმღერები შეასრულეს ფოთის სახელოვნებო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა ანსაბლ “პირიმზის” წევრებმა, ასევე ნიჭიერმა პატარა შემსრულებელმა სანდრო ფარცვანიამ. მხიარულ სტარტებში მონაწილეობა მიიღეს მარიამ ჯიგანიამ, ნინო ქუხილავამ, საბა თოდუამ, გიორგი დარჯანიამ, ლუკა მორგოშიამ და სხვებმა.

ბავშვებმა - მარი მანჯავიძემ, ნინო ქარდავამ, თამარ გელენიძემ და სხვებმა. ასფალტზე აფხაზეთის მზე მოხატეს და გააფერადეს.

ღონისძიების ბოლოს ორგანიზატორები ბავშვებს ნაყინით გაუმასპინძლდნენ და ასევე დაურიგეს სხვადასხვა საჩუქრები.



# საქართველოში მილიონი ადამიანი დღეში 5 ლარზე მეტს ვერ ხარჯავს

გაეროს მოსახლეობის ფონდის მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის 13%, ანუ დაახლოებით 600 ათასი ადამიანი დღეში 1,25 დოლარს, ანუ 2,18 ლარს ხარჯავს. საარსებო მინიმუმის ყოველდღიურ ხარჯზე - 5,18 ლარზე ნაკლებს კი, ექსპერტული გათვლებით, მოსახლეობის 20-30%-მდე, ანუ 900 ათასიდან 1,3 მლნ-მდე ადამიანი. სპეციალისტების თქმით, პროდუქტების ის რაოდენობა, რაც დღეს ქართულ მინიმალურ სასურსათო კალათაშია მოცემული, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, 4 წლის ბავშვის კვების რაციონსაც კი ჩამორჩება.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 4 490,5 ათასს შეადგენს. მოსახლეობის 13%, რომლის დღიური მოხმარება 1.25 დოლარს არ აღემატება, რაოდენობრივად 583 765-ია.ბოლო მონაცემებით, საარსებო მინიმუმი 155,4 ლარია, აქედან 70 % სურსათზე მოდის. მინიმალურ სასურსათო კალათაში 40-მდე დასახელების პროდუქტია. საერთო ჯამში, ყოველდღიურ მინიმალურ ნორმად 2300 კილოკალორიაა მიჩნეული. შესაბამისად, ადამიანს მინიმუმ 155,4 ლარი უნდა ჰქონდეს თვეში შემოსავალი (დღეში დაახლოებით 5,18 ლარი), რომ არსებობისთვის განსაზღვრული მინიმალური კილოკალორია მიიღოს. სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ექსპერტს ნოდარ კაპანაძის განცხადებით, სტატისტიკის სამსახური აქვეყნებს ინფორმაციას, რომ საარსებო მინიმუმი არის 155,4 ლარი. გამოდის, რომ დღიური ნორმა არის 5,18 ლარი, მაგრამ იგივე სამსახური არაფერს ამბობს მოსახლეობის რა ნაწილი ხარჯავს დღეში ამაზე ნაკლებ თანხას. არადა, კაპანაძის განცხადებით, სტატისტიკას შეუძლია დათვალოს თუ რამდენი ადამიანი ხარჯავს საარსებო მინიმუმის დღიურ ნორმაზე ნაკლებს. „რაც შეეხება ექსპერტულ გათვლებს. იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც 5,18 ლარზე ნაკლებს მოიხმარს, შესაძლოა, 20%-დან 30%-მდე იყოს, მაგრამ ესეც პირობითად. შეიძლება საარსებო მინიმუმზე მეტს ხარჯავდეს ადამიანი, მაგრამ იყოს ღარიბი.

ხარჯი არის ყოველდღიური, არის ყოველთვიური და ყოველკვირეული. არ ვიცი, გაეროს განვითარების ფონდმა რა ტიპის გამოკვლევა ჩაატარა. როდესაც საუბარია 1,25 დოლარის ხარჯზე, ეს ციფრი დადგენილია მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით თუ გაცვლითი კურსით. ორივე სხვადასხვა რამაა. შესაბამისად,იმას,თუ მოსახლეობის რა ნაწილი ხარჯავს დღეში 1,25 დოლარს, ვერ გეტყვით“, - განუცხადა “ბიზნეს-რეზონანსს” ნოდარ კაპანაძემ.კვების მრეწველობის სპეციალისტი, შოთა ჩხეიძე კი ამბობს,რომ ქართულ სასურსათო კალათაში შეტანილი პროდუქტები და მათი ნორმა საერთაშორისო სტანდარტებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.„ნატოს სოფლის მეურნეობის დაგეგმარებისა და ჯანდაცვის კომიტეტმა 2011 წლის ივნისში მიიღო ახალი ნორმა, რომელიც ძველისგან თითქმის არ განსხვავდება, თუმცა ჩვენ მისგან ძალიან შორს ვდგავართ. იქ ვკითხულობთ, რომ საერთაშორისო ნორმებით ხორცი და ხორცპროდუქტების დღიური ნორმა ზრდასრული ადამიანისთვის შეადგენს 200 გრამს, საქართველოში კი სულ რაღაც 70 გრამია. პური და პურპრდოუქტების საერთაშორისო ნორმაა 200 გრამი, ჩვენთან - 380 გრამი, მოხმარება კი - 700 გრამი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პურის მოხმარება სიღარიბის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. ამავე მონაცემების მიხედვით, ადამიანმა დღეში 680 გრამი რძე და რძის პროდუქტები უნდა მიიღოს. საქართველოში ეს ნორმა მხოლოდ 215 გრამია. ბოსტნეულის წილი საერთაშორისო ნორმებით 680 გრამს შეადგენს, ქართული ნორმებით - 332 გრამს. ხილის დღიური ნორმა 454 გრამია, ჩვენთან სულ რაღაც 200 გრამი და ა.შ.”, - განუცხადა “ბიზნეს-რეზონანსს” შოთა ჩხეიძემ.მისივე თქმით, პროდუქტების ის რაოდენობა, რაც დღეს ქართულ მინიმალურ სასურსათო კალათაშია მოცემული, საერთაშორისო ნორმების მიხედვით 3,5-4 წლის ბავშვის კვების რაციონსაც კი ჩამორჩება. “საქართველოში მოსახლეობის 80% რომ ღარიბია, ეს გაეროს მიერ არის დადგენილი. აქედან, 35% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, 45% კი არის ღარიბი. ესენი არიან განწირული ადამიანები, რომლებიც არიან მხოლოდ პურზე და მათი შემოსავალი სხვა ხარჯს ვერ ფარავს”, -დასძინა შოთა ჩხეიძემ.იმას, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ღარიბია, სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. 2014 წლის მონაცემებით, საარსებო შემწეობას 436 318 ადამიანი იღებს. ეს ის ადამიანები არიან, ვისი სარეიტინგო მაჩვენებელი 57 ათას ქულას არ აღემატება. მათგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ ადამიანების სოციალური ყოფა, ვისი სერეიტინგო ქულა 57 ათასიდან 100 ათასამდეა. ბაზაში კი ასეთი ქულის მქონე ადამიანების საერთო რაოდენობა 222 428-ს შეადგენს. საერთო ჯამში, 0-დან 100 ათასი ქულა მოსახლეობის დაახლოებით 15%-ს აქვს, ანუ 658 428-ს. იმისათვის, რომ ლატაკი მოსახლეობის მაჩვენებელი შემცირდეს, შოთა ჩხეიძე აუცილებელ ფაქტორად სოფლის მეურნეობის განვითარებას ასახელებს.

გაზეთ “ბიზნეს რეზონანსის” მასალები

# განცხადება

## ბარბარე ქაქუთიას დახმარება

ფოთელ, 8 თვის ბარბარე ქაქუთიას დაუდგინდა ანემიის მწვავე ფორმა, პატარა ბარბარეს მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება, მის გადასარჩენად საჭიროა უზარმაზარი თანხა, ბარბარეს სახელზე საქართველოს ბანკში გახსნილია ანგარიში, გთხოვთ გამოიჩინოთ გულისხმიერება და დაეხმაროთ პატარა ლამაზ არსებას.

GE 14 BG 0000000826953300

ერთად გადავარჩინოთ პატარას სიცოცხლე!





# ფოთის თეატრის წარმატებები

მარი ჯავახია
ფოთი

რამდენიმე ხნის წინ, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი საქართველოში ერთადერთი თეატრალური პრემია "დურუჯის" ლაურეატი გახდა, თანაც ორგზის. საუკეთესო მამაკაცის როლის შესრულებისთვის ერგო პრემია თეატრის მსახიობს გიორგი სურმავას, ხოლო მეორე პრემია გადაეცა დავით გაბუნიას 2013-14 წლებში საუკეთესო თანამედროვე პიესის დადგმისთვის "ჰოლანდ ჰოლანდი". როგორც მოგეხსენებათ, ფოთის თეატრის ახალგახსნილ შენობაში ჯერ სპექტაკლი არ ჩატარებულა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ახალი სცენისთვის დასი საკმაოდ ამბიციური სპექტაკლით ემზადება. ეს გახლავთ უილიამ შექსპირის „ჰამლეტი", რომელსაც, სავარაუდოდ, ფოთელი მაყურებელი ივლისის შუა რიცხვებისთვის იხილავს. მთავარ როლს ითამაშებს გიორგი სურმავა. რეპეტიციები ახალ შენობაში მიმდინარეობს, მზადდება დეკორაცია და კოსტიუმები, მანამდე კი მაყურებელს შესაძლებლობა ექნება კიდევ ერთხელ იხილოს დურუჯზე წარდგენილი ორი სპექტაკლი "ალუბლის ბაღი-რეპეტიცია" და "ჰოლანდ ჰოლანდი", კულტურის სახლის პატარა სცენაზე, სადაც ბოლო ცხრა წელია ფოთელი მსახიობები მუშაობენ. ამით ისინი დაემშვიდობებიან მცირე დარბაზს და ახალმოსახლეობას იზეიმებენ. თეატრის მმართველი თენგიზ ხუხია ულოცავს ყველას კონკურსზე წარმატებას და მადლობას უხდის ყველა თანამშრომელს: "ძალიან მიხარია, რომ თეატრმა, რომლის არსებობაც კი ეჭვქვეშ იყო დაყენებული, მოიპოვა საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის ტიტული, მარჯანიშვილის, რუსთაველის თეატრებს შორის და გახდა "დურუჯის" პრემიის მფლობელი. მადლობას ვუხდი ყველა ჩემს თანამშრომელს ამისთვის. როცა სხვა თეატრებს ჰქონდათ ჩვენზე ბევრად უკეთესი პირობები შექმნილი წარმატებისთვის, ვერ მიიღეს ასეთი შედეგი, ეს ჩვენი გამარჯვება, ქალაქის გამარჯვებაა. ძალიან ამაყები ვართ ამით. თეატრს შემოემატა რამდენიმე ახალი სახე, რაც ძალიან მახარებს. ახალ სივრცეს სჭირდება ათვისება, ჩვენ უნდა მოვემსახუროთ ყველა თაობის მაყურებელს. მაშინაც კი, როცა პატარა სივრცე გვქონდა, ვცდილობდით მოზარდ მაყურებლებისთვის, ყველა გემოვნების მაყურებლისთვის შეგვექმნა პროექტი და შეგვეთავაზებინა. რა თქმა უნდა, ახალ შენობაში ამის მეტი შესაძლებლობაა იმის გათვალისწინებით, რომ გვაქვს უფრო დიდი სივრცე, საჭიროა მეტი ადამიანური რესურსი, უნდა გაიზრდოს დაფინანსებაც. ხოლო, რამდენად შეგვიძლია ჩვენ დავდოთ ხარისხიანი პროდუქტი, ადასტურებს ბოლო წარმატებაც".

გასულ წელს ფოთის თეატრმა ჩაატარა საბავშვო თეატრალური კონკურსი, რომელშიც ფოთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. მსგავსი და სხვა პროექტების განხორციელებას თეატრი მომავალშიც გეგმავს. თეატრის მთავარი რეჟისორია პაატა ციკოლია, სცენოგრაფი ქეთი ნადიბაიძე. იქიდან გამომდინარე, რომ თეატრი წელს ახალ შენობაში გადადის, იგეგმება სპექტაკლები თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში. თეატრში თვლიან, რომ სწორედ ასეთი რეჟიმის და თავგანწირვის შედეგია მათი წარმატება. ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ, შესაძლოა, გაიზარდოს ბილეთის ფასიც, თუმცა გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და ფასი იქნება მათვის ხელმისაწვდომი, რათა მაყურებელმა შეძლოს თეატრში სიარული და მიიღოს მაქსიმალური სიამოვნება. როგორც თეატრის დასი გვპირდება, იქნება უამრავი სიურპრიზი და საინტერესო სანახაობა. 27-28 ივნისს ჩატარდება პრემიერა "ბრემენელი მუსიკოსები", რომელიც თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგის ზაზა ჭანტურიას ინიციატივით ტარდება. ეს სპექტაკლი იმით არის განსაკუთრებული, რომ მასში მონაწილეობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები.



# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**ფოთის საქალაქო სასამართლო აცხადებს, რომ მის მიერ მიღებული უნდა იქნეს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ.**

**1. ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ ფოთის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს რეზონანსის დირექტორმა ვლადიმერ ხოშტარიამ.**

**2. უპატრონოდ საცნობ ქონებას წარმოადგენს შპს კმჯ გრუპის ტერიტორიაზე არსებულ ნავმისადგომთან მყოფი გემი ვლადიმირ ინტელი, სარეგისტრაციო ნომრით ც-00123.**

**3. იმ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ პრეტენზია უპატრონოდ გამოცხადებულ ქონებაზე, შეუძლიათ განცხადებით მიმართონ თავიანთი უფლებების შესახებ ფოთის საქალაქო სასამართლოს 3 (სამი) თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.**

# ახალშობილები

ფოთის სამშობიარო სახლი



ბაჩი ქამაშიძე,
დაიბადა 29 ივნისს
50 სმ, 3,300კგ



ნია ნანავა
დაიბადა 26 ივნისს
52 სმ, 3,850 კგ



მარიამ კვიკვიძე
დაიბადა 28 ივნისს
51 სმ, 3,900კგ



ბარბარე რუხაია
დაიბადა 30 ივნისს
50 სმ, 3,100 კგ

# პროფკავშირების ისტორია საქართველოში

საქართველოში პროფკავშირული მოძრაობა რომ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს, უდავოა, ამასზე უამრავი დოკუმენტური მასალა მოგვეპოვება და არავინ დაობს. საინტერესო ისაა, როგორ მოაღწია აქამდე ევროპული მოდელის "მშრომელთა საზოგადოების, გაერთიანების, ან ასოციაციის" ( შემდგომში პროფკავშირი) შექმნის პრაქტიკამ? ამის შესახებ ჯერ არაფერი თქმულა.

საქმე ის, გახლავთ რომ პროფკავშირების შექმნის იდეა დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში უკავშირდება კაპიტალიზმის განვითარების აღმავლობას, რასაც კანონზომიერად მოჰყვა ფაბრიკა-ქარხნებსა კერძო სექტორში მუშა-ხელის დასაქმების ზრდა. ზრდის ტენდენციას თან სდევდა ფერმერთა მხრიდან მშრომელთათვის შრომითი პირობების საკუთარი შეხედულებით შექმნა. დასაქმებულთა შრომითი პირობები ყველა შემთხვევაში დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებდა. ეს ეხებოდა, როგორც სამსახურში მიღება-დათხოვნასა და მუშაობის ხანგრძივობას, ისე შრომის ანაზღაურების მოცულობას. აღარაფერს ვამბობთ დაცული შრომის უსაფრთხოებებზე. ცხადი და ლოგიკურია, დღის წესრიგში დგებოდა შრომის ღირსებააყრილი უფლებების დამცავი მექამიზმის შემუშავება და ასეც მოხდა.

ინგლისის დედაქალაქში დაარსდა "ხალხთა შორის მუშების საზოგადოება" (შემდგომში პროფესიული კავშირი). როგორც კი საზოგადოების სამოქმედო დებულება დაიწერა, მშრომელებმა წარმოების მეპატრონეს შრომის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით მიმართეს და შედეგსაც მიაღწიეს. დასაქმებულებმა არნახული ტემპით დაიწყეს "ხალხთა შორის მუშების საზოგადოებაში" გაერთიანება. სტიმული იმდენად მაღალი იყო, რომ ერთ წელიწადში აღნიშნული საზოგადოებები ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის საწარმოში შეიქმნა. მუშათა ინტერესების დამცველი საზოგადოების შესახებ ინფორმაციები პრესის საშუალებით მთელი დედამიწის ზურგს ეფინებოდა. დიდ ინტერესს იწვევდა ნაბეჭდი სტატიები იმის შესახებ თუ, როგორ შეიძლებოდა აუტანელი კოლონიალური შრომის პირობებიდან თავის დაღწევა. სამოქმედო დებულების მიხედვით, მუშახელს უფლება მიეცა ებრძოლა საკუთარი შრომის უფლებების დასაცავად.

"ხალხთა შორის მუშების საზოგადოების" წარმატებულმა მოქმედებებმა დანარჩენი ქვეყნებისთვისაც მიმბაძველი ხასიათი შეიძინა. გამონაკლისი არც საქართველო იყო. მით უმეტეს, რომ იმ წლებში, არა მარტო თბილისში, არამედ მთელ რიგ მაზრებში ადგილობრივი გაზეთები გამოდიოდა და მათ ევროპიდან, როგორც პოლიტიკური, ისე საზოგადოებრივი საყოფაცხოვრებო ინფორმაციები მიეწოდებოდა.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ იმ დროიდელი პრესის რედაქციები რეგულარულად იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან სატელეგრაფო შეტყობინებებს და, თემატიკის აქტუალობიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდნენ მიღებულ კორესპოდენციებს.

პირველი ინფორმაცია პროფკავშირების შესახებ ქართულ პრესაში, სათაურით "ხალხთა შორის მუშების საზოგადოება", 1871 წლის 12 იანვარს, გაზეთ "დროებაში" გამოქვეყნდა.

მცირედი შემოკლებით და სტილის დაცვით ვაქვეყნებთ სტატიის შინაარს, რომელიც, ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ამ თემით დაინტერესებულ ჩვენ მკითხველს, საქართველოში პროფკავშირების წარმოშობის შესახებ.

"ეს საზოგადოება, ან ასოციაცია შემდგარა თითქმის, მხოლოდ მუშა-ხალხისაგან, მაგრამ იმის წევრებად არიან აგრეთვე მწერლები და სხვა პირებიც, რომელნიც გამოჩენილნი არიან თავის ხალხის მოყვარული აზრებით და რომელთაც ჰსურთ მდაბიო, მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება. სულ წევრების რაოდენობის რიცხვი 2.500.000-ია, ესენი თითქმის მთელ დედამიწაზე არიან გაფანტულნი. ყველგან სადაც კი ცოტაოდენობითაა შესული მუშებში განათლების სხივი, ყველგან ნახავთ ამ ასოციაციის წევრებს. ცენტრალური მმართველობის კომიტეტი კი ლონდონშია. აქ სწყდება ასოციაციის ყველა საზოგადო და ღირსშესანიშნავი საქმეები. სხვაგან სატახტო ქალაქში არიან ამ კომიტეტის განყოფილებანი, მაგალითად: პარიზში, ბერლინში, ბრიუსელში, ვენაში და აგრეთვე ამერიკის ბევრ ქალაქებში. უმთავრესი, ანუ ცენტრალური ლონდონის კომიტეტი თხუთმეტ წევრისაგან არის შემდგარი. ყოველ კვირას ამ კომიტეტს უცხო ქვეყნებიდან მოსდის იმათი ანგარიში და სხვადასხვა საჭირო ცნობები, როგორც მაგალითად: 1) ადგილობრივ პოლიტიკურ მოძრაობაზე, 2) უწყება თავის ახალ წევრებზე, 3) თავის ღონისძიებების მდგომარეობაზე, 4) მდიდარი ფაბრიკანტებისა და თანხის პატრონების სია, 5) თავიანთი მოქმედებისა და გადაწყვეტილებების ანგარიში და სხვა.

ამ ასოციაციას დიდი შესაძლებლობა აქვს. ყოველი წევრი, ყოველი მუშა შეძლებისა და გვარად თითო ოროლ შაურს სწირავს კვირაში და აქედან დიდი ფული შესდგა. უმთავრესი დანიშნულება ამ საზოგადოებისა ისაა, რომ ყოველ ღონისძიებით და ყოველ შემთხვევაში მუშებს ხელი გაუმართოს და ეცადოს იმის ცუდი მდგომარეობის გამოკეთებაზე. ამ აზრის მისაღწევად ასოციაცია გამოსცემს წიგნებსა და გაზეთებს მუშებისათვის, ჰკითხულობს საპუბლიკო ლექციებს, მართავს იმათთვის საავადმყოფოებს და საკითხავ ოთახებს და სხვა. ეს ასოციაცია არის მთელი ქვეყნის მუშების შემაერთებელი. ის ცდილობს, რომ ყველა მუშებს ჰქონდეთ ერთი აზრი, ერთი წადილი და ერთნაირი მოქმედება. ვთქვათ სადმე, რომელიმე ფაბრიკანტი მუშებს ავიწროვებს, ცოტა ჯამაგირს აძლევს, ან ბევრს ამუშავებს, ამის გამო ამათ უთანხმოება მოუხდა და მუშებმა თავი დაანებეს მუშაობას (შეადგინეს "სტაჩკა"), რომ ამათ ჯამაგირი მოამატებინონ ფაბრიკანტს; მაშინვე ცენტრალური კომიტეტი უგზავნის ამ მუშებს ფულებს, რომ გარკვეულ დრომდი შეძლონ ცხოვრება. აქვე აძლევს დარიგებას იმის თუ, როგორ უნდა მოიქცნენ.

ერთი სიტყვით სხვა არა იყოს რა, ეს ასოციაცია მარტო იმითაა შესანიშნავი, რომ იმდენი წევრები და შეძლება მგონი, არცერთ სხვა საზოგადოებაში არ იპოვება და თუ ამ სახსრების რიგიანად მოხმარება დასცალდათ და შეიძლეს, უეჭველია ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება შემდგომში, როდესაც მუშების მდგომარეობას ახლანდელზე უფრო მომეტებული ყურადღება იქნება მიქცეული."

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ცალკეულ წარმოებებში დასაქმებულთა დიდ უმრავლესობას არ შეეძლო გამოქვეყნებული ინფორმაციების კითხვა, მაგრამ ის, თუ რა ხდებოდა უცხოეთში, განსაკუთრებით მშრომელთა უფლებების დაცვისა და შრომის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნის კუთხით, დიდ ყურადღებას იპყრობდა. მუშები ინფორმაციებს ზეპირად გადასცემდნენ ერთმანეთს, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო. ერთი წლისთავზე 1872 წელს მირზოევის ტანსაცმლის სამკერვალო ფაბრიკის მუშაკმა ქალებმა ერთკვირიანი გაიფიცვა გამოაცხადეს და დამსაქმებელს შრომის პირობების გაუმჯობესება მოთხოვეს. ისინი ფაბრიკის წინ შეიკრიბნენ და უარი თქვეს, "ასეთ პირობებში, ასეთ გასამრჯელოზე არ ვიმუშავებთო".

ისმის კითხვა: საიდან უნდა სცოდნოდათ თბილისელ მშრომელებს, რომ გაფიცვა ასეთი ფორმით უნდა გამოეხატათ, რომ ეს შედეგს მოიტანდა და შრომის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნას ფაბრიკის მეპატრონე სიხარულით თუ არ შეხვდებოდა, ნაწილობრივ მაინც გაითვალისწინებდა? ფაბრიკის მუშაკებს ეს ნაბიჯი ევროპიდან მოწოდებულმა ინფორმაციებმა გადაადგმევინა, – რაკი ევროპის ქვეყნებში მუშები გარკვეულ წარმატებებს აღწევდნენ, თბილისელი მუშების მოთხოვნები რატომ არ იყო გასათვალისწინებელი?

ამ დროს მირზოევმა მუშებს შეუთვალა, "თქვენთვის ეს ჯამაგირი მეტია, ვინემ გეკუთნით. თუ არ გინდათ, მუშახელის მეტი რა არის, აგერ ტუსაღები იხვეწებიან და მათ დავასაქმებო". მართალია მკერავების გაფიცვას შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მცდელობა, რომ გაუმჯობესებულიყო შრომის ანაზღაურება და, შესაბამისად, შრომის პირობები ფაქტად რჩება. სხვა, რომ არაფერი, ამით საქართველოში პირველი გაფიცვა დაფიქსირდა. ფაბრიკის მეპატრონე არ გატყდა იმის გამო, რომ მას ქალაქის "უპრავაში" (გამგეობაში) საკმაოდ გავლენიანი ლობი ჰყავდა და ნაკლებად დაგიდევდათ მშრომელთა გაუსაძლის შრომის პირობებს.

--statia gamoqveynda cifruli formatiT gamomaval gazeT "solidarobaSi".

# სპორტი

## საქართველოს ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში

მარი ჯავახია
ფოთი

21–22 ივნისს ფოთში მდინარე კაპარჭაზე ჩატარდა საქართველოს პირად გუნდური ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქალაქების; თბილისის, ქუთაისის, მცხეთის და ფოთის ნაკრებმა გუნდებმა. გუნდურ ჩემპიონატში მიღებული შედეგები ასე გამოიყურება:

მეორე ადგილი – სანდრო ესებუა – 1 X – 1500მ. 1999–2001წწ.
მეორე ადგილი – დათო ლაბაძე – 2 X – 1500მ. 1999–2001წწ.
საბა ბერიძე – 2 X – 1500მ. 1999–2001წწ.
მეორე ადგილი – გიორგი ერემაშვილი 2 X – 2000მ. 1996–199წწ.
გიორგი გელოზია 2 X – 2000მ. 1996–199წწ.
მეორე ადგილი დათო ლაბაძე 2 X – 1500მ. 1999–2001წწ.
საბა ბერიძე 2 X – 1500მ. 1999–2001წწ.
მეორე ადგილი – გიორგი ერემაშვილი 2 X – 2000მ. 1996–1998წწ.
გიორგი გელოზია 2 X – 2000მ. 1996–1998წწ.

◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇

## პირველობა მძლეოსნობა

21 ივნისს აბაშაში ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის პირადი პირველობა მძლეოსნობაში, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მძლეოსნებმა:

პირველ ადგილზე საბა ხვიჩია (500 მ. სირბილი) გავიდა,

შუბის ტყორცნში პირველი ადგილი ალიონა თათარაშვილმა დაიკავა,

ხოლო 21-22 ივნისს თბილისში გამართულ ევროპის გუნდური პირველობაზე მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდა 15 ქვეყნის ნაკრები გუნდები. ფოთელმა მძლეოსანმა ჯეირან ხოფერიამ, რომელიც გამოდიოდა საქართველოს სახელით 3000 მ. წინაღობებით სირბილში დაიკავა V ადგილი.

◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇

## ნესტორ ხერგიანის სახელობის ტურნირი ჭიდაობა სამბოში

მიმდინარე წლის 25–27 ივნისს მესტიაში ჩატარდა ოლიმპიური თამაშების პრიზიორის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნესტორ ხერგიანის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა „ძიუდოში", სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა ძიუდოისტებმა.

42კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი ბექა სანაიამ დაიკავა.

ხოლო 35კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე ჯაბა თურქია გავიდა.

◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇

## ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში

17 ივნისს ზესტაფონში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონ ნიკა წაქაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭიდაობა "ძიუდოში" ჭაბუკთა და უმცროს ჭაბუკთა ასაკში. ტურნირზე მონაწილეობას ღებულობდა 18 გუნდი.

60კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი ოთარ ოჩიგავამ დაიკავა, 30კგ.წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე ლუკა კუჭავა გავიდა, ასევე 35კგ.წონით კატეგორიაშივე მესამე ადგილის მფლობელი მიშა ჯინჭარაძე გახდა.

# 6 პროდუქტი იდეალური კანისთვის

სილამაზე იწყება საკვებით. თუ გსურთ იდეალური კანი გქონდეთ, ის კი სილამაზის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია, აუცილებელია, რომ ხარისხიანი კოსმეტიკის გამოყენების გარდა ხარისხიანად იკვებოთ კიდეც. რაც უფრო ხშირად მიირთმევთ ქვემოთ ჩამოთვლილ პროდუქტებს, მით უფრო უკეთესი გახდება თქვენი სახის კანი.

### წითელი ტკბილი წიწაკა

1 ცალი წიწაკა სრულად შეავსებს თქვენი ორგანიზმის დღიურ ნორმას ჩ ვიტამინზე. გარდა ამისა შეიცავს სასარგებლო უჯრედისს და ვიტამინ 6. მდიდარია კაროტენოიდებით, რომელიც კანში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და ებრძვის ნაადრევ ნაოჭებს. ამ კაროტენოიდების წყალობით, წიწაკა აკნეს საწინააღმდეგო შესანიშნავი საშუალებაა.

### შავი შოკოლადი , მინიმუმ 80% კაკაოთი

ხარისხიან შავ შოკოლადში შემავალი ანტიოქსიდანტები ამცირებს კანის სიწითლეს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას,რის გამოც კანი უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. მაღალპროცენტიან შოკოლადში ცხიმი და შაქარი ნაკლებია. ის შედარებით მწარეა, სამაგიეროდ პატარა ულუფა დააკმაყოფილებს თქვენი ორგანიზმის მოთხოვნებს.

### ორაგული

ეს თევზი შესანიშნავი საკვებია, რომელიც ორგანიზმს სტრესთან, დეპრესიასთან ბრძოლაში ეხმარება. მეტწილად აკმაყოფილებს ორგანიზმის დღიურ მოთხოვნას ვიტამინზე. ეს კი აუცილებელია ტვინის, ძვლების, გულის ჯანმრთელობისთვის. ორაგულში შემავალი ომეგა 3 ებრძვის ნაოჭების წარმოქმნას და აკნეს.





### მწვანე ჩაი

ეს შესანიშნავი სასმელი ანტიოქსიდანტების და ამინომჟავების შესანიშნავი წყაროა. ორგანიზმს მოდუნებაში ეხმარება და სტრესს ებრძვის. მასში შემავალი კატეხინების წყალობით, აქვს ანტი-სიმსივნური და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება. შეარჩიეთ ხარისხიანი, მსხვილფოთლოვანი დასაყენებელი ჩაი.

### ისპანახი

ერთ-ერთი ყველაზე ჯანმრთელი საკვებია და აუცილებლად ჩართეთ ყოველდღიურ რაციონში. ვიტამინი , , ჩ, რკინა, ფოლატები, მაგნეზიუმი, უჯრედისი - ყველაფერი ეს შედის ისპანახში. მისი მირთმევით, თქვენ კანს „შიგნიდან“ წმენდთ და ამდიდრებთ.

### სტაფილო

სტაფილო არა მხოლოდ თვალებისთვის, არამედ კანისთვისაც იდეალური საკვებია. განსაკუთრებით ხშირად უნდა მიირტვან მათ, ვისაც ფორების დაბინძურების პრობლემა აქვთ, რადგან ის არეგულირებს კანის ზედა ფენაში უჯრედების განახლების პროცესს.

შეეცადეთ ჩამოთვლილი პროდუქტები ხშირად მიიღოთ, თუნდაც მონაცვლეობით და არა ყველაფერი ერთად. პარალელურად, გამორიცხეთ ზედმეტი ცხიმები, შაქარი, ნახშირწყლების დიდი რაოდენობა და თქვენი კანი მალე დაიწყებს ბრწყინვას.

# ანეკდოტები

გურულმა, როგორც იქნა, დაარწმუნა კომისარიატის ექიმი, რომ მხედველობა არ უვარგოდა და იმ საღამოსვე კინოში შევიდა ახალი ამერიკული ფილმის სანახავად. ფილმი დაიწყო და, ჰოი, საოცრებავ! ეს ექიმი გვერდით არ უზის?! გურული არ დაბნეულა, მიუბრუნდა ექიმს და ეკითხება:
- უკაცრავად, ბატონო, აი ავტობუსი ჩოხატაურში ხომ გეიარს?

*******************

გურულს დაპატიჟებენ კახეთში ქელეხზე. გადახედავს სუფრას და გადაირევა - ხაშლამა, შილაფლავი, მწვადი, შემწვარ-მოხრაკული... აღფრთოვანებული წამოიძახებს:
-ა, ძამა, ხალხი! ა, ძამა, სუფრა! რა უნდა კტარს გურიაში?! კტარი სულ კახეთში უნდა იყოს!

*******************

გურული მატარებლით მგზავრობს. ხედავს, რომ მის წინ მჯდომი ქალი ძალიან ნერვიულობს.
- რა ანერვიულებთ, ქალბატონო?
- ჩემი ქმარი ჟურნალის საყიდლად ჩავიდა, მატარებელი დაიძრა და ის დარჩა. რა მეშველება ახლა მე?-აქვითინდა ქალი.
- ეუჰ, მაგიზა დარდობთ?! მაი აფერი, აგერ მე გათხუებ ჟურნალს.

*******************

მეგრელმა და გურულმა პლაჟზე ნახეს განცხადება: "ვინც დამხრჩვალს გადაარჩენს, პრემია 50 ლარი" მეგრელი ეუბნება: მიდი, ბიჭო, ჩახტი ახლა, ვითომ იხრჩობი, მე გადაგარჩენ და ფულს ვიშოვით. გურული მართლაც ჩახტა და ყვირის:
-მიშველეთ, მიშველეეთ! მეგრელმა დაუძახა:
-ბიჭო, ნუ ყვირიხარ და ჩეიძირე, აქ წერია "ტრუპის" ამოყვანა ასი ლარიო.

*******************

სვანი ცოლს მოიყვანს და როცა განმარტოვდებიან ეკითხება:
— ქალწული ხარ?
— არა-პასუხობს ცოლი.
ამოიღებს სვანი ხანჯალს და მოუქნევს
ქალი კვდება და განწირული ხმით ამბობს:
— თხის რქა ვარ. .

*******************

სვანები 99-ე სართულზე ფეხბურთს თამაშობენ და ბურთი გადაუვარდებათ. ყველანი კიბით ჩავლენ ამოსატანად. სახურავზე მარტო ერთი სვანი დარჩება, რომელიც პირდაპირ გადახტება და ასფალტს დაენარცხება. კიბით ჩასულები მისცვივდებიან მიცვალებულს და ურტყამენ, რაც ძალა და ღონე აქვთ:
მოკლე გზა თუ იცოდი, ჩვენ რატომ არ გვასწავლეო?!

*******************

სამი სვანი სადგურიდან ახლად დაძრულ მატარებელს მისდევს. ორი შეახტება, ერთი ვერ დაეწევა, დგას და იცინის. სადგურის მორიგე ეკითხება:
- რა გაცინებს?
- ის ორი მე მაცილებდა!

*******************

სვანი სახლში ახალ ავეჯს დგავდა ძველს კი ფანჯრიდან ჰყრიდა. მეზობელი ეუბნება:
- ვინმეს არ დაეცეს, სანამ გადააგდებ დაიყვირე მაინც.
სვანმა უპასუხა:
- მე რა მაქვს საყვირელი. ვისაც დაეცემა იმან იყვიროს

*******************

რაჭველი აღსარებაზე მივიდა ეკლესიაში.
-შევცოდე მამაო.
-რა შვილო ჩემო?
-მეგრელი მოვატყუე.
-ეგ ცოდვა კი არა, სასწაულია შვილო ჩემო.

gazeTis xelmomwerTa sayuradRebod!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს დისტრიბუტორად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმოწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 341417,

მთავარი თემა სამეგრელოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.